საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1856-03
05.10.2023

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „დერმატო-ვენეროლოგიის“ სარეზიდენტო პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესი“-ს, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი”-ს 2.1 და 2.2 პუნქტებისა და ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიის სარეზიდენტო პროგრამაზე კონკურსანტების მიღების კრიტერიუმები“-ს საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, მედიცინის სკოლის დერმატო-ვენეროლოგიის სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის, პროფ. ლალი მეკოკიშვილის 2023 წლის 3 ოქტომბრის №17249-35 წარდგინებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 4 ოქტომბრის N17306-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „დერმატოვენეროლოგიის“ სარეზიდენტო პროგრამაზე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული მიღების მიზნებისთვის, ვაკანტური ადგილების რაოდენობა განისაზღვრება 4 (ოთხი) ადგილით.
3. საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
ა) ლალი მეკოკიშვილი - ექიმი დერმატო-ვენეროლოგი, ილიას სახელმწიფო უნვერსიტეტის დერმატო-ვენეროლოგიის სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი;
ბ) მაია დათუაშვილი - ექიმი დერმატო-ვენეროლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დერმატო-ვენეროლოგიის სარეზიდენტო პროგრამის მოდულების ხელმძღვანელი;
გ) ივანე აბიათარი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი მედიცინის სკოლის ხელმძღვანელი.
4. ჩარიცხვის მსურველმა 2023 წლის 5 ოქტომბრიდან 16 ოქტომბრის ჩათვლით უნდა გამოაგზავნონ ქვემოთ მითითებული დოკუმენტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, მედიცინის სკოლის ელექტრონულ მისამართზე medicine@iliauni.edu.ge:
ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მისთვის სასურველი პროგრამა;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
გ) ერთსაფეხურიანი პროგრამით მიღებული ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) 3X4 ზომის ფოტოსურათის ელ. ვერსია;
ე) მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულებისათვის);

ვ) ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა / ცნობა;
ზ) სხვა სარეზიდენტო პროგრამაში გავლილი მოდულების ჩამონათვალი და დამადასტურებელი ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო ვალიდურ სერტიფიკატებად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აღიარებს: (TOEFL(P/B მინიმუმ 513 score; I/BT მინიმუმ 65 score); IELTS (მინიმუმ 5.5); მინიმუმ FCE); ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი ვალიდური სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენციას პროგრამით გათვალისწინებულ მინიმუმ B2 დონეზე; ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი;
ი) საექიმო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. გასაუბრება მისაღები კომისიის წინაშე ჩატარდება 2023 წლის 17 ოქტომბერს 10 საათიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5). დეტალური ინფორმაცია გასაუბრების პირობების შესახებ დაიდება 2023 წლის 14 ოქტომბერს, უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სიახლე“.
6. გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდება 2023 წლის 18 ოქტომბერს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ჩარიცხვის მსურველმა საპრეტენზიო განაცხადი გასაუბრების შედეგების შესახებ უნდა გამოაგზავნოს 2023 წლის 20 ოქტომბრამდე (10:00 დან-18:00 საათამდე) უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. N3/5).
8. ჩარიცხვის მსურველის საპრეტენზიო განაცხადი განხილული იქნება მედიცინის სკოლის საბჭოს მიერ 2023 წლის 23 ოქტომბერს.
9. გასაუბრების საბოლოო შეფასებები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, ასევე სარეზიდენტო პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატთა სია, პირადი ნომრის მითითებით გამოქვეყნდება 2023 წლის 24 ოქტომბერს ფაკულტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში „სიახლე“.
10. ამ ბრძანებით დადგენილი წესით ჩარიცხული რეზიდენტებისთვის სწავლის დაწყების თარიღად განისაზღვროს 1 ნოემბერი.
11. ჩასარიცხ კანდიდატებთან ხელშეკრულება გაფორმდება 2023 წლის 25 და 26 ოქტომბერს, H-118 ოთახში (მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5).
12. სარეზიდენტო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატებმა ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა იქონიონ შემდეგი საბუთები:
ა) პირადობის მოწმობა ან პასპორტი (ორიგინალი და მისი ასლი);
ბ) ორი ფოტოსურათი 3x4-ზე;
გ) მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამით მიღებული ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან იმ შემთხვევაში, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, ხოლო უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ (ორიგინალი);
დ) სხვა სარეზიდენტო პროგრამაზე გავლილი მოდულების ჩამონათვალი და დამადასტურებელი ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ე) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);
ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი (მხოლოდ ვაჟებისთვის);
ზ) იმ შემთხვევაში, თუ მაძიებლის ნაცვლად საბუთებს წარმოადგენს და ხელშეკრულებას აფორმებს მინდობილი პირი, მან თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.
შენიშვნა: აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე, კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სარეზიდენტო პროგრამაზე ჩასარიცხად.
13. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს 2023 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით იმ პირთა სიის რექტორისთვის წარდგენა, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება.

14. სარეზიდენტო პროგრამაზე მიღების პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინის სკოლის დერმატო-ვენეროლოგიის სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი;
15. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსება;
16. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, ელენე ჟურავლიოვას ამ ბრძანების მე-9 პუნქტის მიხედვით გამოქვეყნებული სიის გონივრულ ვადაში ვებ-გვერდიდან აღების კონტროლი.
17. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი